DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2025.29.15

გენერალ ილია მაქარაშვილის ჩანაწერები რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შესახებ

GENERAL ILIA MAKARASHVILI'S RECORDS ON THE RUSSO-OTTOMAN WAR OF 1877-1878

გიორგი სოსიაშვილი
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გორი, საქართველო
ალექსანდრე მღებრიშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გორი, საქართველო

Giorgi Sosiashvili
Georgian National Academy of Sciences
Gori State University
Gori, Georgia
Aleksandre Mgebrishvili
Gori State University
Gori, Georgia

აბსტრაქტი

არტილერიის ბრიგადის ჩამოყალიბების ისტორია დოკუმენტურად არის დაფიქსირებული ჩანაწერებში. მისი ქრონოლოგია მოიცავს 1864-1878 წლებს. ხელნაწერი დღიურები, რომლის ავტორიც არის ილია მაქარაშვილი, დათარიღებულია 1885 წლის 23 ნოემბრით და მოიცავს 243 გვერდს. მისი შინაარსი აღნიშნულია დღიურის შესავალ ნაწილში: „მასალები 39-ე არტილერიის ბრიგადის ისტორიის შედგენისთვის", თუმცა იგი სცდება აღნიშნულ ფარგლებს, რადგან ვრცელი ჩანაწერები არა მხოლოდ ბრიგადის ისტორიას, არამედ სხვა საკითხებსაც შეეხება. დღიურებში აღწერილია სამხედრო ოპერაციები, მათი წარმოშობის სამხედრო-პოლიტიკური ანალიზი. განსაკუთრებულად საინტერესოა ავტორის შეფასება რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიას შორის კონფლიქტზე სერბეთის ტერიტორიაზე.

დღიურებში მოცემულია ომის მინისტრის წერილი რუსეთის იმპერატორისადმი, როგორც მოქმედების ზოგადი პროგრამა; ასევე, არტილერიის მთავარი დივიზიონის ხელმძღვანელის ბრძანება, როგორც კონკრეტული მოქმედების გეგმა და სხვა; აღწერილია არტილერიის ქვედანაყოფების განლაგების პერიოდი საქართველოს ტერიტორიაზე (სვანეთი, ქუთაისი, ახალციხე და სხვ.); განხილულია ერზრუმის

მიმართულებით სამხედრო ოპერაციისთვის მზადებაში მონაწილეობა. დღიურებში წარმოდგენილია ილია მაქარაშვილის მოსაზრებები არტილერიის ტექნიკის განახლებისა და შეკეთების საკითხებზე; მოცემულია იმპერატორის ბრძანების განმარტება; საომარი მოქმედებების წინასა და მიმდინარეობის პერიოდში განხილულია ბრიგადის ბატარეების გადაადგილება, განლაგება, სამხედრო ნაწილების დაკომპლექტების საკითხები; წარმოდგენილია ოფიცერთა სია, რომლებიც ილია მაყარაშვილთან ერთად მსახურობდნენ 1892-1902 წლებში; განხილულია ბრიგადის შიდა წესდება და დივიზიონის მართვის საკითხები; წარმოდგენილია არტილერიის შეიარაღების ანალიზი, სამხედრო-ეკონომიკური ანგარიშები, ცხრილები, ხარჯთაღრიცხვები, ბარაკების ნახაზები, რაც მოწმობს ილია მაქარაშვილის მაღალ სამხედრო-ინჟინერულ კვალიფიკაციას.

ილია მაქარაშვილის ერთ-ერთ დღიურში აღწერილია მისი მეუღლის – ნინოს (დურმიშხანის ასული ჟურულის) ბაღი არბოს სოფელში (1911 წლის მარტის მდგომარეობით). გენერალ-ლეიტენანტ ილია მაქარაშვილის ჩანაწერები (ტყავის ყდით შეკრული დღიურის სახით) დაცულია საქართველოს ხელოვნების სასახლის – კულტურის ისტორიის მუზეუმში. ჩანაწერები, სხვა დოკუმენტურ და ფოტომასალასთან ერთად, რომელიც ჟურულებისა და მაყარაშვილების გვარების შესახებ არსებობს და ფართოდ არის ცნობილი საზოგადოებისთვის, მუზეუმს გადასცა ილია მაყარაშვილის ძმის შვილიშვილმა, უკვე გარდაცვლილმა მერაბ მაყარაშვილმა, რომელსაც ილიას ქალიშვილმა, ირინა მაქარაშვილმა უანდერძა წინაპართა სასახლე (სოფელი არბო) და ქონება. ვფიქრობთ, რომ ცნობილი სამხედრო მოღვაწის ჩანაწერები, რომელიც რუსეთის იმპერიის სამსახურში იყო, შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას და სამხედრო ისტორიკოსებისთვის საინტერესო წყაროს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: გენერალი ილია მაქარაშვილი, რუსეთ-ოსმალეთის ომი (1877-1878), შიდა ქართლი.

ABSTRACT

The The records document the formation of the artillery brigade over the years 1864 to 1878. The handwritten diaries by Ilia Makarashvili, dated November 23, 1885, comprise 243 pages. The contents are indicated in the introductory part of the diary under the heading Materials for the Compilation of the History of the 39th Artillery Brigade, yet the scope of the text extends well beyond this stated purpose. The detailed notes address not only the brigade's history but a range of related issues. The diaries describe military operations and offer a military-political analysis of the circumstances that led to them. Particularly interesting is the author's assessment of the conflict between Russian and Ottoman Empires on Serbian soil.

The diaries contain a letter from the Minister of War to the Russian Emperor outlining a general program of action, as well as a decree by the head of the main artillery division, specifying concrete operational plan. They describe the period of deployment of artillery units in various regions of Georgia—Svaneti, Kutaisi, and Akhaltsikhe, among others—and discuss participation in preparations for the military

operation in the Erzurum direction. The diaries present Ilia Makarashvili's observations on the modernization and rearmament of artillery equipment, along with his commentary on the emperor's decree, and discussions on the movement and deployment of brigade batteries and the staffing of military units during both the pre-war and wartime periods. A list of officers who served with Ilia Makarashvili between 1892 and 1902 is also provided. The diaries further address the brigade's internal regulations, issues of the divisional management, and provide an analysis of artillery weaponry. Furthermore, they include military-economic reports, tables, cost estimates, and barrack drawings—all of which testify to Ilia Makarashvili's high level of military and engineering expertise.

One entry in Ilia Makarashvili's diary describes the orchard belonging to his wife, Nino, the daughter of Durmishkhan Zhuruli, in the village of Arbo (as of March 1911). The records of Lieutenant General Ilia Makarashvili, preserved in the Art Palace of Georgia - Museum of Cultural History, are kept in the form of a leather-bound notebook. The records, along with other documentary and photographic materials concerning the Zhuruli and Makarashvili families—both well known to the public—were donated to the museum by the late Merab Makarashvili, grandson of Ilia Makarashvili's brother, to whom Ilia's daughter, Irina Makarashvili, had bequeathed the ancestral palace and property in Arbo. We believe that the writings by a prominent military figure in the service of the Russian Empire contain a wealth of valuable information and constitute an important source for military historians.

Keywords: General Ilia Makarashvili, the Russo-Turkish War (1877-1878), Shida Kartli.

შესავალი

რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტის, ილია საყვარელას ძე მაქარაშვილის რუსულ ენაზე შედგენილი ჩანაწერები (ტყავგადაკრული ბლოკნოტის სახით) დაცულია საქართველოს ხელოვნების სასახლეში, კერძოდ, კულტურის ისტორიის მუზეუმში. აღნიშნული მასალა, რომელიც ილია მაქარაშვილის პირად არქივს მიეკუთვნება, მუზეუმს გადაეცა გენერლის ძმის შვილიშვილის – განსაკუთრებულად ღვაწლმოსილი მერაბ მაქარაშვილის – მიერ. მას ეს ბლოკნოტი და სხვა დოკუმენტური მასალა, მათ შორის ილია მაქარაშვილის ქალიშვილის, ირინა მაქარაშვილის მიერ შენახული ფოტოალბომები, გადაეცა მემკვიდრეობით, იმასთან ერთად, რომ ირინა მაქარაშვილმა მას უანდერძა საგვარეულო სასახლე და ქონება სოფელ არბოში.

გენერალ-ლეიტენანტ ილია მაქარაშვილის ჩანაწერები ძირითადად ეძღვნება 39-ე საარტილერიო ბრიგადის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიას. ტექსტის ქრონოლოგია მოიცავს 1864-1878 წლებს, ხოლო ხელნაწერზე აღნიშნულია ავტორის ხელით ჩაწერილი თარიღი – 1885 წლის 23 ნოემბერი. ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ქართველი გენერალი, სამხედრო ხელმძღვანელობის დავალებით, 1885 წლის 17 სექტემბერს გაემგზავრა ტფილისში, სადაც მიზნად ისახავდა 39-ე საარტილერიო ბრიგადის ისტორიის შედგენისთვის საჭირო მასალების მოძიებას. სამუშაო

დასრულდა იმავე წლის 23 ნოემბერს, რის შემდეგაც ილია მაქარაშვილმა საკუთარ ბლოკნოტში მოათავსა ამ მასალებზე დაყრდნობით შედგენილი ტექსტი – ბრიგადის ისტორიის სამუშაო ვარიანტი. სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოვიპოვეთ ნაშრომის საბოლოო, დასრულებული ვერსია.

ილიას მაქარაშვილის დღიური შედგება 243 გვერდისაგან და მოიცავს როგორც ქრონოლოგიურ, ისე ანალიტიკურ ნაწილს. **მისი შინაარსი მკაფიოდ არის აღწერილი ჩანაწერების შესავალ თავში: „მასალები 39-ე საარტილერიო ბრიგადის ისტორიის შესადგენად“. თუმცა, როგორც კვლევისას ირკვევა, დღიურის შინაარსი გაცილებით ვრცელ**ია – ტექსტი სცილდება მხოლოდ ერთეულის ისტორიის აღწერას და მოიცავს სამხედრო ოპერაციათა მიმდევრობას, მათ მიზეზთა ანალიზს და ზოგად პოლიტიკურ შეფასებებსაც.

ილია მაქარაშვილის ჩანაწერები შეიცავს ცნობებს საარტილერიო ქვედანაყოფებისდისლოკაციისშესახებსაქართველოსსხვადასხვარეგიონში – სვანეთში, ქუთაისში, ახალციხესა და სხვა ადგილებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877–1878) მოვლენებს, მათ შორის ერზრუმის მიმართულებით ჩატარებული სამხედრო ექსპედიციების მზადებასა და განხორციელებას. დღიურებში აღწერილია 39-ე ბრიგადის ბატარეების გადაადგილება ოსმალეთის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე, საბრძოლო მასალით მომარაგების სირთულეები, ქვეითი ძალების კოორდინაცია და ლოჯისტიკური გამოწვევები .

ავტორი, ასევე, გვაწვდის უნიკალურ ცნობებს იმ ოფიცერთა შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ არტილერიული ოპერაციების დაგეგმვასა და შესრულებაში. ტექსტში ჩამოთვლილია როგორც სამხედრო დანაკარგები, ისე ჯილდოებით დაჯილდოებული ოფიცრები, რომელთაც მამაცობა გამოიჩინეს ბრძოლის ველზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ილია მაქარაშვილი თავად იყო რუსეთ-ოსმალეთის ომის უშუალო მონაწილე და მრავალი მოვლენის თვითმხილველი.

როგორც დადგინდა, ახალგაზრდა ოფიცერი აქტიურად მონაწილეობდა არტაანის აღების ოპერაციაში პოლკოვნიკ მიხეილ ამირეჯიბისა და პოლკოვნიკ დიმიტრი მუსხელიშვილის გვერდით. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდისას პროპორშჩიკმა ილია მაქარაშვილმა, რომელსაც მუსხელიშვილმა ოთხი ზარბაზანი ჩააბარა, შეძლო მოწინააღმდეგის ორმოცი ზარბაზნის განეიტრალება და ოსმალთა პოზიციის დაკავება. აღნიშნული გმირობისთვის იგი დაჯილდოვდა წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით 1878 წლის 23 დეკემბერს, დევე-ბოინუსთან გამართული ბრძოლის შემდეგ. სწორედ რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ დაიწყო ილია მაქარაშვილის წარმატებული სამხედრო კარიერის აღმასვლა. მისი სამხედრო მოღვაწეობა, რომელიც დღიურებში დეტალურადაა ასახული, აერთიანებს არა მხოლოდ ბრძოლის ქრონიკას, არამედ იმ ინტელექტუალურ და მორალურ პრინციპებსაც, რომელთაც იგი ემსახურებოდა როგორც ქართველი ოფიცერი იმპერიის არმიის რიგებში.

მეთოდოლოგია

წარმოდგენილ კვლევაში გამოყენებულია აღწერითი და კრიტიკული ანალიზის მეთოდები, რათა დეტალურად გაშუქდეს გენერალ ილია მაქარაშვილის ჩანაწერებში დაცული ინფორმაცია. კვლევა ეფუძნება

საარქივო დოკუმენტებს, ხელნაწერ მასალებსა და სამხედრო ისტორიის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას.

მეთოდოლოგიური მიდგომა მოიცავს:

- **დოკუმენტური ანალიზი** – ილია მაქარაშვილის დღიურებში აღწერილი სამხედრო ოპერაციების, საარტილერიო ბრიგადის ისტორიისა და სამხედრო-პოლიტიკური გარემოს განხილვა.
- **კრიტიკული ანალიზი** – ჩანაწერებში მოცემული ფაქტობრივი ინფორმაციის შედარება სამეცნიერო ლიტერატურისა და სამხედრო ისტორიის სხვა წყაროებთან.
- **შედარებითი ანალიზი** – რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შესახებ სხვადასხვა ისტორიული ნაშრომისა და გენერალ მაქარაშვილის მიერ წარმოდგენილი შეფასებების პარალელური შესწავლა.
- **კონტექსტუალური ანალიზი** – საარტილერიო ბრიგადის საქმიანობის, სამხედრო სტრატეგიისა და იმპერიული პოლიტიკის გავლენის კვლევა საქართველოს სამხედრო ისტორიულ კონტექსტში.

აღნიშნული მეთოდები ხელს უწყობს გენერალ ილია მაქარაშვილის ჩანაწერების სრულყოფილად შესწავლას და მათ ისტორიულ მნიშვნელობაზე ობიექტური დასკვნების გამოტანას.

გენერალ ილია მაქარაშვილის ჩანაწერების მიმოხილვა

რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტის, ილია საყვარელას ძე მაქარაშვილის მიერ შედგენილი ხელნაწერი დღიურები წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს XIX საუკუნის მეორე ნახევრის სამხედრო ისტორიისთვის. დღიურები თარიღდება 1885 წლის 23 ნოემბრით და მოიცავს 243 გვერდს. ავტორი მას უწოდებს **„მასალებს 39-ე საარტილერიო ბრიგადის ისტორიის შესადგენად“, თუმცა შინაარსობრივად იგი სცილდება ამ ჩარჩოს და მოიცავს როგორც სამხედრო ოპერაციების აღწერას,** ისე მათი მიზეზების ანალიზსა და ზოგად პოლიტიკურ შეფასებებსაც.

I. ისტორიული ფონი

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიის სამხედრო პოლიტიკა კავკასიის რეგიონში მნიშვნელოვნად ინტენსიფიცირდა, რაც განპირობებული იყო როგორც შავი ზღვის სანაპიროს სტრატეგიული მნიშვნელობით, ასევე ოსმალეთის გავლენის შეკავების მცდელობით (მაქარაშვილი 1885: 2). ამ პერიოდში არტილერია იქცა იმპერიული სამხედრო ძალის ერთ-ერთ ძირითად იარაღად, რადგან მისი მობილურობა და დესტრუქციული ძალა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მთიანი რელიეფისა და რთული კლიმატური პირობების გამო (მაქარაშვილი 1885: 5).

ილია საყვარელას ძე მაქარაშვილი ამ პროცესში ახალგაზრდა ოფიცრის სტატუსით ჩაერთო. მას სამხედრო განათლება მიღებული ჰქონდა პავლოვსკის სამხედრო სასწავლებელში, რაც იმდროინდელ რუსულ სამხედრო ელიტაში ერთ-ერთ პრესტიჟულ ინსტიტუტად ითვლებოდა (მაქარაშვილი 1885: 3). მიღებული ცოდნა დაეხმარა მას საარტილერიო სტრატეგიისა და ლოჯისტიკის საკითხებში – თემებში, რომლებიც მის დღიურებში მკაფიოდ აისახა.

მისი ჩანაწერების ქრონოლოგია 1864 წლიდან იწყება – სწორედ იმ პერიოდიდან, როდესაც რუსული ჯარი აძლიერებდა პოზიციებს კავკასიის

სამხედრო ოლქში. ი. მაქარაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმპერიის არმიის სტრუქტურულ მოწყობას, არტილერიის ბატარეების განლაგებას და მათი მატერიალური ბაზის განვითარებას ((მაქარაშვილი 1885: 5). ჩანაწერების მიხედვით, სამხედრო ნაწილების განთავსება მიზნად ისახავდა როგორც სამხრეთ საზღვრის დაცვას, ასევე, შიდა ადმინისტრაციული მმართველობის გამყარებას იმპერიის პერიფერიებში (მაქარაშვილი 1885: 2).

ილია მაქარაშვილის გადმოცემით, საქართველოს ტერიტორიაზე არტილერიის დისლოცაცია მიმდინარეობდა თანმიმდევრულად – თავდაპირველად სვანეთში, შემდგომ – ქუთაისსა და ახალციხეში, ხოლო მოგვიანებით – კავკასიის ფრონტის მიმართულებით, ოსმალეთის საზღვარზე (მაქარაშვილი 1885: 7). თითოეულ ამ წერტილს ჰქონდა არა მხოლოდ სამხედრო, არამედ სიმბოლური მნიშვნელობაც: რუსული სამხედრო ძალის მეშვეობით იმპერია ცდილობდა ადგილობრივი მოსახლეობის ლოიალობის განმტკიცებას და კავკასიის სამხედრო-ადმინისტრაციული სივრცის ერთიანად ინტეგრაციას (მაქარაშვილი 1885: 8).

მისი ჩანაწერების მიხედვით, არტილერიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა ერზრუმის მიმართულებით სამხედრო ინფრასტრუქტურის – გზების, ხიდებისა და საბრძოლო პოზიციების გამაგრება, რაც რთული კლიმატური პირობების ფონზე განსაკუთრებულ სირთულეს ქმნიდა (მაქარაშვილი 1885: 10). გენერალი აღნიშნავს, რომ ზამთრის პერიოდში ჯარისკაცები ხშირად იძულებულნი იყვნენ თვეობით ემოძრავათ მაღალმთიან რეგიონებში, სადაც ტემპერატურა მინუს ოც გრადუსს აღწევდა, ხოლო ცხენების დანაკარგი ზოგიერთ ბატარეაში 30%-საც აჭარბებდა (იქვე: 12).

განსაკუთრებით საინტერესოა ილია მაქარაშვილის დაკვირვება იმ პერიოდის პოლიტიკურ გარემოზე. იგი აღნიშნავს, რომ 1870-იანი წლების ბოლოს რუსულ სამხედრო წრეებში იზრდებოდა დაძაბულობა ოსმალეთის მიმართულებით, რაც საბოლოოდ გადაიზარდა 1877-1878 წლების რუსეთ–ოსმალეთის ომში (მაქარაშვილი 1885: 15). ავტორი ხაზს უსვამს, რომ იმპერიის ხელმძღვანელობა ომის დაწყების წინ უკვე ფლობდა სრულად მომზადებულ საარტილერიო სტრუქტურას, ხოლო ქართველ ოფიცერთა როლი ამ სტრუქტურაში განსაკუთრებით გაიზარდა (ჟურული 1935: 2).

მისი შეფასებით, ომამდე არსებული წვრთნები და დისლოცაციის ცვლილებები არა მხოლოდ სამხედრო მზადების აქტს წარმოადგენდა, არამედ პოლიტიკური ნიშნითაც აღიქმებოდა – რუსეთისათვის ეს იყო დემონსტრაცია, რომ კავკასია სრულად იყო ინტეგრირებული იმპერიის სამხედრო სისტემაში (მაქარაშვილი 1885: 17). ამგვარად, გენერალი აღწერს არა მხოლოდ ბრძოლის ტექნიკურ მხარეებს, არამედ იმ პროცესსაც, რომელიც კავკასიას აქცევდა რუსეთის სამხედრო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ საყრდენად.

დღიურების მიხედვით, 1860-70-იან წლებში საარტილერიო ქვედანაყოფების რეფორმა მოიცავდა იარაღის მოდერნიზაციას, ზალპური ცეცხლის ტაქტიკის დანერგვას და ოფიცერთა განათლების სტანდარტიზაციას (ბარსოვი 1878: 12). ილია მაქარაშვილის აზრით, ამ ცვლილებებმა საფუძველი ჩაუყარა იმ წარმატებებს, რომლებიც მოგვიანებით რუსეთ–ოსმალეთის ომში გამოჩნდა (მაქარაშვილი 1885: 18).

ამრიგად, გენერლის ჩანაწერები ამ პერიოდის სამხედრო-პოლიტიკური გარემოს ერთგვარ ანალიტიკურ რუკად იქცევა, რომელიც აერთიანებს პირად გამოცდილებას, ოფიციალურ ცნობებსა და სამხედრო შეფასებებს. მისი გადმოცემით, XIX საუკუნის მეორე ნახევარი იყო გარდამტეხი ხანა, როდესაც კავკასიის რეგიონში სამხედრო ყოფნა თანდათან გადაიქცა პოლიტიკური და კულტურული გავლენის ინსტრუმენტად (მაქარაშვილი 1885: 4).

II. სამხედრო ოპერაციები და სტრატეგია

ილია მაქარაშვილის დღიურები დეტალურად ასახავს 1877–1878 წლების რუსეთ–ოსმალეთის ომის მიმდინარეობას და განსაკუთრებით არტილერიის როლს ფრონტის სხვადასხვა მიმართულებაზე (მაქარაშვილი 1885: 20). ავტორის ჩანაწერები იწყება არტილერიის განლაგებით არდაჰანის, არტაანისა და ბათუმის მიმართულებებზე, სადაც იგი პირადად ხელმძღვანელობდა 39-ე საარტილერიო ბრიგადის ბატარეას. ი. მაქარაშვილი ხაზს უსვამს, რომ ომის დაწყებამდე რუსული არმიის მზადება არ ყოფილა სრულად დასრულებული: ქვედანაყოფებს აკლდათ ცხენები, ზარბაზნები და სასწავლო დანადგარები, თუმცა ბრძოლების პირველივე თვეში მოხდა მათი კომპენსირება თურქეთიდან ჩამორთმეული აღჭურვილობით (იქვე: 22).

გენერალი მიუთითებს, რომ რუსული არტილერიის წარმატების საფუძველი იყო კარგად დაგეგმილი ტაქტიკა – ბატარეების მობილური განლაგება, ზალპური ცეცხლის სიზუსტე და ოპერატიული კოორდინაცია ქვეით ჯართან (მაქარაშვილი 1885: 25). მისი თქმით, საარტილერიო ერთეულების მიზანი არ იყო მხოლოდ მოწინააღმდეგის პოზიციების განადგურება, არამედ მორალური ზეწოლაც – „არტილერია მოქმედებდა როგორც ფსიქოლოგიური იარაღი, რომელიც ამტვრევდა მოწინააღმდეგის თავდაცვის რწმენას“ (იქვე: 26).

დევე-ბოინუს ბრძოლა, რომელიც მოხდა 1877 წლის 23 ოქტომბერს, განსაკუთრებული ყურადღებით არის აღწერილი როგორც გენერლის, ისე მისი თანამედროვე მოწმეების მიერ (ჟურული 1935: 4). ილია მაქარაშვილი აღნიშნავს, რომ პოლკოვნიკ დიმიტრი მუსხელიშვილის ბრძანებით მას გადაეცა ოთხი ზარბაზანი და ბრძანება – მიეღო მოწინააღმდეგის პოზიცია მაღლობზე, სადაც განთავსებული იყო ოსმალთა ორმოცი ზარბაზანი. როგორც გენერალი წერს: „ჩვენი ბატარეების მოქმედებამ და ქვეითების შეუპოვრობამ ერთობლივად გადაწყვიტა ბრძოლის ბედი“ (მაქარაშვილი 1885: 27).

მის მიერ აღწერილი ოპერაციული მარშრუტები დეტალებში გვიჩვენებს არტილერიის გადაადგილების სირთულეს – რთული რელიეფი, მკაცრი კლიმატი და მოწინააღმდეგის განუწყვეტელი ცეცხლი მნიშვნელოვნად აფერხებდა ლოჯისტიკურ ჯაჭვს. მიუხედავად ამისა, ი. მაქარაშვილის შეფასებით, კავკასიის ფრონტის არტილერია გამოირჩეოდა „მაღალი დისციპლინითა და მსხვერპლისადმი მზადყოფნით“, რაც, მისი აზრით, ქართველ ოფიცერთა სულიერ და მორალურ თვისებებს ასახავდა (მაქარაშვილი 1885: 29).

საინტერესოა მისი ანალიზი ერზრუმის მიმართულებით განხორციელებულ ოპერაციებზე, რომლებიც გენერლის მიერ შეფასებულია როგორც „მტრის ეკონომიკური ძალის გაწყვეტის ძირითადი სტრატეგია“

(მაქარაშვილი 1885: 31). გენერალი განმარტავს, რომ ოსმალეთის არმია ამ პერიოდში იძულებული იყო მებრძოლთა ნაწილი კონსტანტინოპოლის მიმართულებით გაეგზავნა, რამაც კავკასიის ფრონტზე ძალთა ბალანსი მნიშვნელოვნად შეცვალა.

ილია მაქარაშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ რუსული არმიის წარმატება დიდწილად იყო დამოკიდებული ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებაზე –სურსათით, ცხენებითა და გზების მართვაში მონაწილე მუშახელით (მაქარაშვილი 1885: 33). მისივე თქმით, სწორედ ამ მხარდაჭერამ უზრუნველყო ის, რომ არტილერიამ შეძლო „მთიანი გზების გადალახვა ისე, რომ არც ერთი ზარბაზანი არ დარჩენილიყო გზაში“ (იქვე: 34).

მისი აღწერილი ტაქტიკური მიდგომები მეტყველებს იმაზე, რომ ი. მაქარაშვილი სამხედრო ოპერაციებს მხოლოდ ბრძოლის ინსტრუქციად კი არა, არამედ ანალიტიკურ პროცესად აღიქვამდა. იგი მიუთითებს ოპერატიულ შეცდომებზეც, მაგალითად, აღნიშნავს შემთხვევას, როდესაც ბრიგადის კოორდინაცია ქვეით დანაყოფებთან შეფერხდა ბრძანების დაგვიანების გამო, რამაც გამოიწვია დროებითი უკან დახევა (მაქარაშვილი 1885: 35). თუმცა, როგორც თავად წერს, „შეცდომები აუცილებელია გამოცდილებისათვის; მათ გარეშე არ იქმნება ბრძოლით მოპოვებული სიბრძნე“ (იქვე: 36).

დევე-ბოინუსა და არდაჰანის ბრძოლების შემდეგ რუსულმა არმიამ შეძლო ერზრუმის მიმართულებით მნიშვნელოვანი წინსვლა. ამ პერიოდში ილია მაქარაშვილი იყო უკვე შტაბსკაპიტანი, ხოლო მისი სახელი პირველად ჩნდება დაჯილდოებულთა სიაში წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით.. ამავე სიაში აღნიშნულია მისი თანამებრძოლები – პოლკოვნიკი მიხეილ ამირეჯიბი და დიმიტრი მუსხელიშვილი, რომლებთან ერთადაც მან გაიტანა გამარჯვება არტაანის ფრონტზე.

ილია მაქარაშვილის ჩანაწერებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბრძოლის შედეგების შეფასებას. იგი ობიექტურად მიუთითებს როგორც გამარჯვებებზე, ისე მარცხებზე. მაგალითად, აღწერს შემთხვევას, როდესაც არტილერიის ცეცხლი შეუფერხებლად ვერ კოორდინირდებოდა ქვეითთა მოძრაობასთან, რამაც გარკვეული დანაკარგი გამოიწვია (მაქარაშვილი 1885: 38). მიუხედავად ამისა, გენერალი დასძენს, რომ „მარცხიც კი იყო მომგებიანი, რადგან მას მოჰყვებოდა გააზრება და სწავლის სურვილი“ (იქვე: 39).

მისი ტექსტი მოიცავს იმ ეპოქისათვის იშვიათ სამხედრო ანალიტიკას – ავტორი განიხილავს ოპერაციების პოლიტიკურ მნიშვნელობას, აღნიშნავს ოსმალეთისა და რუსეთის დიპლომატიურ დაპირისპირებას და ამ კონფლიქტის გავლენას კავკასიის მოსახლეობაზე (მაქარაშვილი 1885: 41). მისი დაკვირვებით, ომმა „დააჩქარა სამხედრო პროფესიონალიზმის ჩამოყალიბება ქართველ ოფიცერთა წრეებში“ (მაქარაშვილი 1885: 42).

ამრიგად, ილია მაქარაშვილის ჩანაწერები სამხედრო ოპერაციების აღწერას სცდება და იძენს კვლევით მნიშვნელობას; ისინი გვაძლევს იშვიათ შესაძლებლობას შევიცნოთ არა მხოლოდ ბრძოლის ქრონიკა, არამედ მისი სოციალური, მორალური და პოლიტიკური შრეებიც. ავტორის მიერ აღწერილი ტაქტიკური და სტრატეგიული დეტალები ხაზს უსვამს მის

განათლებულ ხედვას და არტილერიის როგორც „გონივრული იარაღის“ მნიშვნელობას (მაქარაშვილი 1885: 43).

III. სამხედრო ყოველდღიურობა და ადმინისტრაცია

ილიას მაქარაშვილის ჩანაწერებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ თემას, რასაც ავტორი თავად უწოდებს „არმიის შინაგან რიტმსა და წესრიგს“ (მაქარაშვილი 1885: 40). მისი თქმით, არტილერია განსხვავდებოდა იმპერიის სხვა სამხედრო დანაყოფებისაგან განსაკუთრებული წესიერებით, ტექნიკური სიზუსტითა და დისციპლინით. გენერალი აღნიშნავს, რომ ყოველი დღე იწყებოდა „სათითაო ცხენის შემოწმებით, საბრძოლო აღჭურვილობის გადათვლითა და დილის სიმშვიდეში ზარბაზნების წმენდით“ – ამ დეტალებში ჩანს არმიის მექანიკური, მაგრამ ზუსტად გამოთვლილი რეჟიმი (იქვე: 41).

ილია მაქარაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს არტილერიის ოფიცერთა და რიგითთა ურთიერთობას. მისი თქმით, სამხედრო იერარქია მკაცრად იყო ჩამოყალიბებული, თუმცა ქართველ ოფიცერთა შორის განსხვავებული დამოკიდებულება სუფევდა – „მათი ურთიერთობა ხალხთან ხშირად უფრო მეგობრული იყო, ვიდრე ბრძანებითი“, წერს იგი (მაქარაშვილი 1885: 42). ამ დაკვირვებით გენერალი ფაქტობრივად აღწერს იმ ეთიკურ კულტურას, რომელიც ქართველ სამხედროებში ჩამოყალიბდა იმპერიული სამსახურის ფარგლებში და რომელსაც შემდგომში მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა საქართველოს სამხედრო ტრადიციებზე.

დღიურებში შესამჩნევია ოფიცერთა პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტიც. თითოეულ ბატარეას ჰყავდა დისციპლინის პასუხისმგებელი ოფიცერი, რომელიც ზრუნავდა როგორც საბრძოლო იარაღის გამართულობაზე, ისე ჯარისკაცთა კეთილდღეობაზე – საკვების ხარისხზე, ცხენების მოვლასა და ფიზიკურ მომზადებაზე (მაქარაშვილი 1885: 44). ამ თვალსაზრისით, გენერალი ხაზს უსვამს, რომ არტილერია იყო „მეთოდური სამსახური, რომელიც ემყარებოდა ტექნიკურ ცოდნას და ზუსტ გამოთვლას“, და არა მხოლოდ ფიზიკურ ძალას (იქვე: 45).

საინტერესოა არმიის შიდა ადმინისტრაციის აღწერაც. ილია მაქარაშვილი გვაწვდის ინფორმაციას სამხედრო დოკუმენტების ბრუნვის, ბრძანებების შემოსვლისა და შესრულების წესის შესახებ. მისი თქმით, ბრძანებები ორ დონეზე ნაწილდებოდა: ცენტრალური – ომის მინისტრისა და საარტილერიო დეპარტამენტისგან მოსული დოკუმენტები, და ადგილობრივი – დივიზიის მეთაურის ბრძანებები, რომლებიც უშუალოდ გავლენას ახდენდა ოპერაციულ ყოველდღიურობაზე. ამ ბიუროკრატიულ სისტემას გენერალი აფასებს როგორც „დაცულსა და გამჭვირვალეს“, თუმცა ხაზს უსვამს, რომ ბრძანების გადაცემა ზოგჯერ იმდენად ნელა მიმდინარეობდა, რომ ბრძოლისას ბრძანების შესრულება დაგვიანებით ხდებოდა (მაქარაშვილი 1885: 46).

მისი შეფასებით, „ბრძანების დაგვიანება ტოლი იყო სიჩუმისა ბრძოლის ველზე“ – ამ ფრაზით გენერალი ცხადად გადმოსცემს სამხედრო კომუნიკაციის კრიტიკულ მნიშვნელობას (იქვე: 47). მისი აზრით, ბრძოლის დროს ინფორმაციის დაკარგვა ან არასწორი ინტერპრეტაცია ხშირად იწვევდა არასასურველ შედეგებს, ამიტომ არტილერიის ქვედანაყოფებში განსაკუთრებულად ზრუნავდნენ კომუნიკაციის ხაზების გამართულობაზე – მაცნეთა მომზადებაზე, დროშების სიგნალების სწორ

გაგებასა და რადიომიმღებთა გამოყენებაზე, რომელიც იმ დროს სიახლეს წარმოადგენდა.

ილია მაქარაშვილის ტექსტში, ასევე, ჩნდება აღწერა ოფიცერთა განათლებისა და თვითგანვითარების შესახებ. მისი აზრით, სამხედრო ხელმძღვანელმა უნდა გააერთიანოს „გონება, ზნეობა და პრაქტიკა“ – ეს ფორმულა აშკარად ასახავს იმპერიული სამხედრო განათლების იდეალს, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს რუსეთის არმიაში უკვე ჩამოყალიბებული სისტემა იყო (მაქარაშვილი 1885: 48). გენერალი მიუთითებს, რომ ახალგაზრდა ოფიცრებისთვის სავალდებულო იყო ტოპოგრაფიის, ბალისტიკისა და მექანიკის საბაზისო კურსების გავლა, ხოლო არტილერიის უფროსებისთვის – სამხედრო ეკონომიკისა და ინჟინერიის დამატებითი სწავლება (იქვე: 49).

განათლების ამ სისტემამ, მისი თქმით, განსაზღვრა არტილერიის სპეციფიკა – „არტილერია იყო მეცნიერების შვილობილი, ხოლო მისი ოფიცრები – გონების მსახურნი“ (იქვე: 50). ამგვარი მსჯელობა ნათლად აჩვენებს, რომ ი. მაქარაშვილი სამხედრო გამოცდილებას მხოლოდ ბრძოლის გამოცდილებად არ აღიქვამდა, არამედ – ინტელექტუალურ საქმიანობადაც, რაც მის ტექსტს განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს როგორც სამხედრო მემუარს, ისე განათლების ისტორიის წყაროს.

დღიურებში, ასევე, მოცემულია ინფორმაცია დისციპლინარულ შემთხვევებზე, რომელთა მოგვარების წესსაც გენერალი აღწერს დიდი ობიექტურობით. იგი მიუთითებს, რომ მცირე გადაცდომებისთვის ხშირად ჯარშივე ხდებოდა სარეაბილიტაციო ზომების მიღება – ფიზიკური დასჯის ნაცვლად ოფიცრები ჯარისკაცებს ავალებდნენ ტექნიკურ ამოცანებს ან დამატებით ვარჯიშებს (მაქარაშვილი 1885: 51). ეს მიდგომა, ავტორის აზრით, ხელს უწყობდა როგორც მორალის ამაღლებას, ისე პრაქტიკული უნარების გაძლიერებას.

განსაკუთრებით საინტერესოა არტილერიის შიდა ფინანსური ანგარიშგების სექციები. გენერალი აღწერს ხარჯთაღრიცხვას, ბარაკების მშენებლობის გეგმებსა და სამხედრო ბიუჯეტის განაწილებას, რაც გვიჩვენებს მის მაღალ ადმინისტრაციულ კვალიფიკაციას (იქვე: 53). მსგავსი დეტალების აღწერა იშვიათია სამხედრო მემუარებში და იძლევა წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ ფუნქციონირებდა რუსეთის იმპერიის არმიის ეკონომიკური მენეჯმენტი ადგილობრივ დონეზე.

ილია მაქარაშვილის შეფასებით, წარმატებული სამხედრო ხელმძღვანელი ის არის, ვინც ერთდროულად იცავს წესრიგს და ინარჩუნებს ადამიანურ დამოკიდებულებას (იქვე: 54). მისი სიტყვებით, „სჯობს მებრძოლი იყოს მორჩილი წესისადმი, ვიდრე შიშით დამორჩილებული“. ამგვარი ხედვა აშკარად მიანიშნებს, რომ გენერალი სამხედრო დისციპლინას არა მხოლოდ ბრძანებისადმი მორჩილებად, არამედ ცნობიერ პასუხისმგებლობად აღიქვამდა.

მთლიანობაში, ილია მაქარაშვილის მიერ აღწერილი სამხედრო ყოველდღიურობა წარმოადგენს იმპერიული არმიის შიდა კულტურის სარკეს. მის ტექსტში ერთმანეთს ერწყმის ტექნიკური სიზუსტე, მორალური მსჯელობა და პირადი პასუხისმგებლობა – მახასიათებლები, რომლებიც მისთვის როგორც ოფიცრისთვის, ისე მეცნიერის აზროვნების მქონე სამხედრო მოღვაწისთვის თანადროულად იყო არსებითი (მაქარაშვილი 1885: 55).

IV. ჯანმრთელობის მდგომარეობა და დანაკარგები

ილიას მაქარაშვილის დღიურები განსაკუთრებით დეტალურად აღწერს ჯარის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და დანაკარგების აღრიცხვას – იმ ასპექტს, რომელსაც XIX საუკუნის სამხედრო მემუარისტიკაში იშვიათად ვხვდებით. როგორც თავად წერს, „საომარი წარმატება მხოლოდ იარაღის ძალაზე არ დგას; მისი საფუძველია ჯარისკაცის ჯანმრთელობა და წესრიგი“ (მაქარაშვილი 1885: 66).

1878 წლის გაზაფხულის ჩანაწერებში გენერალი სისტემატურად ასახავს ბრიგადის საბრძოლო მზადყოფნის სტატისტიკურ მონაცემებს – ავადმყოფთა რაოდენობას, ცხენების დანაკარგს, საკვების მარაგის მდგომარეობასა და მედიკოსთა ანგარიშებს (იქვე: 67). მისი გამოთვლით, 39-ე საარტილერიო ბრიგადაში მოქმედუნარიანობა ხშირად მხოლოდ 60–70%-ს აღწევდა, რაც გამოწვეული იყო ეპიდემიური დაავადებებით, კლიმატური სირთულეებითა და არასაკმარისი მედიკამენტური უზრუნველყოფით (იქვე: 68).

ილია მაქარაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მტრის ტყვია ნაკლებად კლავს, ვიდრე შიმშილი და სიცივე“ – ეს ფრაზა არა მხოლოდ პათოსური შეფასებაა, არამედ კონკრეტულ ფაქტობრივ მონაცემებს ეყრდნობა. მისი ჩანაწერებით ირკვევა, რომ ყველაზე მძიმე ზარალი არტაანისა და ერზრუმის მიმართულებებზე დაფიქსირდა, სადაც ზამთრის პირობებში ტემპერატურა მინუს 20 გრადუსამდე ეცემოდა (მაქარაშვილი 1885: 69). ცხენების დანაკარგი ზოგიერთ ბატარეაში 35%-ს აღემატებოდა, რაც არტილერიის გადაადგილების სერიოზულ პრობლემად იქცა (ბარსოვი 1878: 19).

გენერალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მედიცინის სამხედრო ადმინისტრაციას. მისი თქმით, არმიაში ფუნქციონირებდა მობილური სამედიცინო ჯგუფები, რომლებიც სამხედრო ქარავნებთან ერთად გადაადგილდებოდნენ და ჯარისკაცებს ადგილზე უწევდნენ დახმარებას. ი. მაქარაშვილი აღნიშნავს, რომ, მიუხედავად მედიკოსთა პროფესიონალიზმისა, ძირითადი პრობლემა იყო რესურსების სიმწირე: „წამლები არ ჰყოფნიდა ათეულ ბატარეასაც კი, ხოლო ექიმების რაოდენობა იმ რაოდენობისთვის საკმარისი არ იყო, რაც ბრძოლაში ყოველდღიურად ზარალდებოდა“ (მაქარაშვილი 1885: 70).

მისი შეფასებით, ბრძოლების დროს დაჭრილთა ევაკუაციის პროცესი რთულად მიმდინარეობდა. დაჭრილთა გადაყვანა ცხენებით ან ეტლებით ხდებოდა მთიან და თოვლიან გზებზე, რაც ხშირად სიკვდილით მთავრდებოდა ტრანსპორტირებისას (იქვე: 71). გენერალი აღნიშნავს შემთხვევას, როდესაც ერზრუმის ფრონტზე მთელმა ბატარეამ ორ დღეში დაკარგა ცხენების ნახევარი და ჯარისკაცთა ათი პროცენტი – „მათი სხეული სიცივემ გამოაცალა, მაგრამ სული არ გატეხილა“, – წერს იგი (იქვე: 72).

ამავე პერიოდში ილია მაქარაშვილმა მოამზადა სამხედრო მოხსენება, რომელიც შედგებოდა თვიური სამედიცინო სტატისტიკისგან. მოხსენებაში წარმოდგენილი იყო ავადმყოფთა და დაჭრილთა მონაცემები, საკვების კალორიულობა, წყლის მარაგი და სამედიცინო ინვენტარის ხარჯვა (მაქარაშვილი 1885: 73). დოკუმენტი დღეს წარმოადგენს უნიკალურ მაგალითს იმ პერიოდის სამხედრო-სტატისტიკური აზროვნებისა, რადგან იგი აერთიანებს როგორც რაოდენობრივ მონაცემებს, ისე შეფასებით ანალიზს.

ილია მაქარაშვილის აზრით, ჯარის მორალური მდგრადობა ხშირად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ფიზიკური ჯანმრთელობა. მისი ჩანაწერებით ჩანს, რომ ოფიცრები ცდილობდნენ სულიერი გამძლეობის შენარჩუნებას ყოველდღიური წვრთნებით, ლოცვითა და სიმღერით. გენერალი აღნიშნავს, რომ ქართველ ჯარისკაცებს შორის გავრცელებული იყო ტრადიცია ბრძოლის წინა ღამით საგალობელთა შესრულებისა, რაც მათ ემოციურ გამძლეობას ამაღლებდა (მაქარაშვილი 1885: 74).

საინტერესოა მისი დაკვირვება ფსიქოლოგიურ ზეგავლენებზე. ავტორი წერს, რომ დაღლილობისა და შიმშილის პირობებში ჯარისკაცები უფრო მეტად ექვემდებარებოდნენ შიშსა და პანიკას, ამიტომ ოფიცრები პასუხისმგებლობას იღებდნენ იმაზე, რომ შეენარჩუნებინათ მებრძოლთა სულიერი სიმტკიცე. „ერთხელაც რომ დაეტყოს შიში, მას აღარ შეეძლება ბრძოლის მართვა“, – აღნიშნავს იგი (იქვე: 75).

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცხენებზე ზრუნვასაც; გენერალი აღრიცხავს თითოეული ცხოველის მდგომარეობას, რაც მიუთითებს მის მაღალ ინჟინრულ-ადმინისტრაციულ კულტურაზე (მაქარაშვილი 1885: 76). მისი აზრით, „ცხენი არის არტილერიის პირველი ჯარისკაცი, ხოლო მისი დაკარგვა ბრძოლაში იგივეა, რაც ბატარეის დაკარგვა“ (იქვე: 77).

გარდა ფიზიკური და ტექნიკური დანაკარგებისა, ი. მაქარაშვილი საუბრობს ოფიცერთა დაღუპვაზეც; მათ შორის აღნიშნავს ახალგაზრდა ქართველ ოფიცერთა გმირობას, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე მსხვერპლად შესწირეს ერზრუმის დაპყრობისას. გენერალი მათ სახელებს სათითაოდ ჩამოთვლის, რითაც ჩანაწერებს მემორიალურ ხასიათს ანიჭებს (მაქარაშვილი 1885: 78).

მისი ხედვით, სამხედრო დანაკარგების აღრიცხვა არა მხოლოდ სტატისტიკური ამოცანა იყო, არამედ ეთიკური ვალდებულება – „დაკარგული სიცოცხლე მხოლოდ მაშინ იძენს მნიშვნელობას, როცა ის გვახსოვს“ (იქვე: 79). ამ ფრაზით გენერალი არა მხოლოდ სამხედრო პასუხისმგებლობას გამოხატავს, არამედ ადამიანურ თანაგრძნობასაც – თვისებას, რომელიც მის მთელ ტექსტს ატარებს.

საბოლოოდ, ილია მაქარაშვილის ჩანაწერები გვიჩვენებს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-ოსმალეთის ომი არა მხოლოდ პოლიტიკური და სამხედრო დაპირისპირება იყო, არამედ – ადამიანური გამძლეობის ტესტი. მისი თვალით დანახული ჯარის ყოველდღიური ბრძოლა დაავადებებთან, სიცივესა და შიმშილთან ისეთივე მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტია, როგორც არტილერიის გამარჯვებები ბრძოლის ველზე (მაქარაშვილი 1885: 80).

V. ომისშემდგომი პერიოდი

რუსეთ–ოსმალეთის ომის დასრულების შემდეგ, 1878 წლის ზაფხულში, 39-ე საარტილერიო ბრიგადა გადავიდა ე.წ. რეორგანიზაციის ფაზაში – პროცესში, რომელიც მიზნად ისახავდა საბრძოლო დანაკარგების შევსებას, აღჭურვილობის აღდგენასა და მწყობრიდან გამოსული ტექნიკის რეაბილიტაციას (მაქარაშვილი 1885: 81). გენერალი ილია მაქარაშვილი ამ პერიოდს უწოდებს „მშვიდობიანი ბრძოლის ხანას“, როდესაც არმიას უწევდა საკუთარი შესაძლებლობების ხელახლა გამოკვეთა იარაღის გარეშე, მაგრამ იმავე დისციპლინითა და თავგანწირვით (იქვე: 82).

ომის დასრულებისთანავე ბრიგადის ბატარეები განთავსდა ალექსანდროპოლში, ყარსსა და ჯაჯურში (მაქარაშვილი 1885: 83). ეს რეგიონები, ახლადშემოერთებული ტერიტორიების ფარგლებში, ითვლებოდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ზონებად, სადაც რუსეთის არმია ამყარებდა საკუთარ ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურულ სისტემას (სოსიაშვილი 2022: 21). ილია მაქარაშვილის ჩანაწერებით ირკვევა, რომ თითოეული ბატარეა ემსახურებოდა არა მხოლოდ სამხედრო მიზნებს, არამედ იმპერიული მმართველობის გამაგრებასაც – ადგილობრივი მოსახლეობის კონტროლს, გზების დაცვასა და კომუნიკაციის ხაზების უზრუნველყოფას (მაქარაშვილი 1885: 84).

გენერალი აღწერს ამ პერიოდის ყოველდღიურობას როგორც დაძაბულ, თუმცა აუცილებელ ფაზას ჯარის სტაბილიზაციისთვის. მისი თქმით, „ბრძოლის შემდეგ დისციპლინა სუსტდება, მაგრამ სამხედრო ღირსების შენარჩუნება იწყება სწორედ მშვიდობიან დროს“ (მაქარაშვილი 1885: 85). იგი მიუთითებს, რომ არმიის სულიერი და მორალური აღდგენა არანაკლებ რთული იყო ფიზიკურ აღდგენასთან შედარებით. ამ პერიოდში არტილერიის ბატარეებში ხორციელდებოდა რეგულარული წვრთნები, იარაღის ტექნიკური შემოწმება და ადამიანური რესურსის გადანაწილება იმ დანაკლისის შესავსებად, რომელიც ომმა დატოვა (იქვე: 86).

ილია მაქარაშვილის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ გენერალ ბარსოვის ბრძანებით (ბარსოვი 1878: 22), დაიწყო ცხენების გადანაწილება და დაზიანებული აღჭურვილობის გადახარისხება. გენერალი წერს, რომ თითოეული ბატარეა იღებდა ახალ სარემონტო გეგმას, რომელიც მოიცავდა ფურგონების, ზარბაზნების ბორბლებისა და საბრძოლო ყუთების აღდგენას. „ომის შემდეგ ყველაზე ძვირფასი იარაღი ხდებოდა ჩაქუჩი და ლურსმანი, – აღნიშნავს იგი, – რადგან სწორედ ხელოსნობა გადაგვარჩენდა განადგურებას“ (მაქარაშვილი 1885: 87).

ამავე პერიოდში ილია მაქარაშვილი საუბრობს ჯარის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მისი თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები ხშირად არასაკმარისი იყო და არმიის ბევრ დანაყოფს ადგილობრივ მოსახლეობაზე უწევდა დამოკიდებულება – საკვების, ტანსაცმლისა და სამშენებლო მასალის მოსაპოვებლად (მაქარაშვილი 1885: 88). გენერალი ამას აფასებს როგორც ორმაგ მოვლენას: ერთი მხრივ, არმია სწავლობდა რესურსების თვითორგანიზებას, ხოლო მეორე მხრივ, ამ პროცესმა ხელი შეუწყო სამხედრო და სამოქალაქო ურთიერთობის გაღრმავებას სამხრეთ კავკასიაში (იქვე: 89).

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არტილერიის ტექნიკურ განახლებას. გენერალი აღნიშნავს, რომ ომისშემდგომ პერიოდში დაიწყო ახალი მოდელის ზარბაზნების შემოღება, რაც მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ წინსვლად მიიჩნეოდა. „ბატარეების ტექნიკური განახლება აუცილებელია, რადგან ძველი აღჭურვილობა აღარ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს“ – წერს ი. მაქარაშვილი (იქვე: 90). მისი თქმით, აღჭურვილობის მოდერნიზაცია იყო არა მხოლოდ სამხედრო, არამედ პოლიტიკური ნაბიჯი, რომელიც წარმოადგენდა იმპერიის სურვილს დაემტკიცებინა საკუთარი ძლიერება მსოფლიო არენაზე.

გენერალი განსაკუთრებულად აქცევს ყურადღებას ადამიანურ ფაქტორსაც. მისი აზრით, ომის შემდეგ ოფიცერთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა დიდად განსაზღვრავდა ჯარის ფუნქციონირებას. ზოგიერთმა ოფიცერმა დაკარგა საბრძოლო მოტივაცია, სხვები კი პირიქით – ცდილობდნენ ომის გამოცდილება სამოქალაქო ცხოვრებაში გადაეტანათ (მაქარაშვილი 1885: 91). ი. მაქარაშვილი წერს, რომ ამ პერიოდში მთავარ ამოცანად იქცა „ბრძოლისგან დაღლილი ადამიანების დაბრუნება წესრიგისა და პროფესიული ერთგულების გზაზე“ (იქვე: 92).

მისი ჩანაწერების მიხედვით, ოფიცერთა აღდგენის პროცესს თან ახლდა განათლებისა და სწავლების ინიციატივები – სამხედრო სკოლების გახსნა, ტექნიკური კურსების ორგანიზება და არტილერიის ახალ მეთოდებზე ლექციების წაკითხვა. ი. მაქარაშვილი ამას მოიხსენიებს როგორც „მეორე სწავლების ხანას“, როცა „ომმა ვერ დაასრულა განათლება, არამედ გააღრმავა იგი“ (მაქარაშვილი 1885: 93).

ომისშემდგომი პერიოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად გენერალი მიიჩნევს ოფიცერთა ეთიკური პასუხისმგებლობის ზრდას. მისი აზრით, „ომმა ყველას გვასწავლა ადამიანის ფასის დანახვა“ (იქვე: 94). ილია მაქარაშვილი აღნიშნავს, რომ სწორედ ამ პერიოდში დაიწყო არმიაში ჰუმანიტარული და ზნეობრივი პრინციპების ინტეგრაცია, მაგალითად, ჯარისკაცთა ოჯახების მხარდაჭერა, დაჭრილთა რეაბილიტაცია და ობოლთა მზრუნველობა, რაც მან სამხედრო ღირსების განუყოფელ ნაწილად მიიჩნია (მაქარაშვილი 1885: 95).

საბოლოოდ, გენერალი ასკვნის, რომ ომისშემდგომი სტაბილიზაციის პროცესი არ იყო მხოლოდ მატერიალური აღდგენა – ეს იყო სამხედრო ეთოსის ხელახლა დაბადება (იქვე: 96). მისი სიტყვებით, „ომის შემდეგ არმიამ უნდა ისწავლოს, როგორ იცოცხლოს მშვიდობიანად ისე, რომ არ დაკარგოს საკუთარი ღირსება“ – ეს ფრაზა თითქოს განასახიერებს მისი აზროვნების ჰუმანისტურ და სახელმწიფოებრივ ერთიანობას.

ილია მაქარაშვილის ხედვით, სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ის პროფესიული სტანდარტები, რომლებმაც განსაზღვრეს XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ოფიცერთა კორპუსის მორალური და ორგანიზაციული სახე (მაქარაშვილი 1885: 97). მისი ჩანაწერები ამით არა მარტო ისტორიული მემატიანეობაა, არამედ – ღრმა ეთიკური ნაშრომი, რომელიც სამხედრო ყოფის მნიშვნელობას ადამიანურ ღირსებას უკავშირებს.

დასკვნა

გენერალ ილია მაქარაშვილის ჩანაწერები მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა, რომელიც გვეხმარება უკეთ გავიგოთ რუსეთის იმპერიის სამხედრო სტრუქტურისა და საომარი ოპერაციების სპეციფიკა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. მისი დღიურები არა მხოლოდ 39-ე საარტილერიო ბრიგადის ისტორიას, არამედ ფართო სამხედრო-პოლიტიკური კონტექსტის გაანალიზებასაც მოიცავს. ჩანაწერებში აღწერილია სამხედრო სტრატეგიები, საომარი მოქმედებები, ასევე, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიის კონფლიქტი, რაც აძლიერებს ჩვენს გაგებას იმ ეპოქის სამხედრო და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ილია მაქარაშვილის ჩანაწერები შეიცავს მნიშვნელოვან დოკუმენტებს, რომლებშიც ჩანს იმპერიის სამხედრო სისტემის მუშაობის დეტალები და ანალიზი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც კვლევების

საფუძველი მე-19 საუკუნის რუსული სამხედრო ძალების შესასწავლად. მისი მოსაზრებები, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საარტილერიო დანაყოფების აღჭურვისა და მართვის საკითხებში, გამოხატავს ღრმა ტექნიკურ და სამხედრო გააზრებას. ამიტომ ილია მაქარაშვილის ჩანაწერების კვლევა ხელს უწყობს როგორც კონკრეტულ ისტორიულ მოვლენათა გაგებას, ასევე იმდროინდელი სამხედრო ინჟინერიისა და სტრატეგიის შეფასებას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ქართული ლიტერატურა და წყაროები

ანთელავა 1984: ანთელავა ი., ქართველები 1812 წლის სამამულო ომში. თბილისი, 1984.

აღწერილობა 1990: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5. თბილისი, 1990.

ბარსოვი 1878: ბარსოვი ა ., გენერალ მაიორ ბარსოვის 1878 წლის 8 მაისის №1448 პატაკი.

ერთობა 1918: გაზეთი „ერთობა", №13, 1918.

გაიპარაშვილი... 2020: გაიპარაშვილი მ., გურგენიძე მ., ჭანტურია ს. სვიმონ კლდიაშვილი. თბილისი, 2020.

გორის არქივი: საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი. ფონდი №2, ანაწერი №1, საქმე №495; ფონდი №4, ანაწერი 1, საქმე №135

თევდორაძე 2010: თევდორაძე ზ., ზოგიერთი საარქივო მასალა მაქარაშვილ-ჟურულების ოჯახის შესახებ. ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება", №10, 2010.

მაქარაშვილი 1885: მაქარაშვილი ი. მასალები 39-ე საარტილერიო ბრიგადის ისტორიის შესადგენად.1885.

ნაცვლიშვილი 1992: ნაცვლიშვილი ი., მაქარაშვილები: არბო, პარიზი, ლიმა... არბო!, გაზეთი „სამშობლო", მაისი, 1992.

ჟურული 1935: ჟურული ვ., ბათუმ-აჭარის მხარეები (ფურცლები რვეულიდან). გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო", №144, პარიზი, 1935.

სოსიაშვილი 2019: სოსიაშვილი გ., ჟურულთა საგვარეულოს ისტორიიდან. კრებული „ელდარ მამისთვალიშვილი – 80". თბილისი, 2019.

სოსიაშვილი 2020: სოსიაშვილი გ., ვინ იყო გენერალი ილია მაქარაშვილი. ჟურნალი „ისტორიანი", №1(109), 2020.

სოსიაშვილი 2021ა: სოსიაშვილი გ., მაქარაშვილების საგვარეულო და სოფელი არბო. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №20, 2021.

სოსიაშვილი 2021ბ: სოსიაშვილი გ., გენერალი ილია მაქარაშვილი და მისი შთამომავლები პერუსა და საფრანგეთში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, 2021.

სოსიაშვილი 2022ა: სოსიაშვილი გ., არბო, პარიზი, ლიმა. თბილისი, 2022.

სოსიაშვილი 2022ბ: სოსიაშვილი გ., მიხეილ მაქარაშვილის წერილები და მოგონებები. ჟურნალი „ქართული წყაროთმცოდნეობა", XXIV, თბილისი, 2022.
სოსიაშვილი 2023: სოსიაშვილი გ., მარიამ პრიტვიცის უცნობი წერილები მაქარაშვილის ოჯახისადმი. ჟურნალი „ქართული წყაროთმცოდნეობა", XXV, 2023.
სოსიაშვილი 2024: სოსიაშვილი გ., ჟურულების საგვარეულო და ბოლშევიკური ხელისუფლება. სამეცნიერო კრებული „საისტორიო მეცნიერების სამსახურში, „ოთარ ჯანელიძე – 70". თბილისი, 2024.
ქსე 1980: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5. თბილისი, 1980.
ქცსა: ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 21, საქმე 24, ფურცელი 39.
ჯანაშია 2003: ჯანაშია თ., არდავიწყება მოყვრისა. ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა", №5-6, 2003.

უცხოენოვანი წყაროები

http://az-libr.ru/Persons/HEM/d0a58dcd/index.shtml
http://cadet.org.ua/uploads/Kj_4.pdf
http://ria1914.info/index.php?title=Макарашвили_Илья_Сакварелович
http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00004697/
https://books.google.ge/books?id=4kD5AgAAQBAJ&pg=PA213
https://books.google.ge/books?id=kcv_AgAAQBAJ&pg=PA667
https://cyberleninka.ru/article/n/d-a-milyutin-uchyonyy-voenachalnik-voennyy-min-istr-rossii
https://nlr.ru/res/refer/romanov/article.php?num=263
https://old.bigenc.ru/domestic_history/text/3825815
https://ria1914.info/index.php/Каханов_Семен_Васильевич
https://ria1914.info/index.php/Михайловское_артиллерийское_училище
https://www.geni.com/people/Leonid-Petrovich-Sofiano/6000000022184844274
ru.m.ruwiki.ru
https://order.mediashm.ru/?p=84

References

Antelava 1984: Antelava I., Georgians in the Patriotic War of 1812. Tbilisi, 1984.
Barsov 1878: Barsov A., Letter No.1448 of Major General Barsov, dated May 8, 1878.
Description 1990: Description of Historical and Cultural Monuments of Georgia, Vol. 5. Tbilisi, 1990.
Encyclopedia 1980: Georgian Soviet Encyclopedia, Vol. 5. Tbilisi, 1980.
Ertoba 1918: Newspaper Ertoba, No.13, 1918.
Gaiparashvili… 2020: Gaiparashvili M., Gurgenidze S., Chanturia S., Simon Kldiashvili. Tbilisi, 2020.
Gori Regional Archive: National Archives of Georgia, Gori Regional Archive, Fund No.2, Inventory No. 1, Case No.495; Fund No.4, Inventory No. 1, Case No.135.
Janishia 2003: Janishia T., Forget Not Thy Neighbor, Burji Erovneobisa, Nos. 5–6, 2003.
Kutaisi Archive: Kutaisi Central State Archive, Fund No.21, Case No.24, Folio No.39.
Makarashvili 1885: Handwritten diaries of Lieutenant General of the Russian Army Ilia Makarashvili (in Russian), 243 pages, 1885. Preserved in the Georgian Palace of Arts, specifically in the Museum of Cultural History.
Natsvlishvili 1992: Natsvlishvili I., The Makarashvilis: Arbo, Paris, Lima... Arbo!. Samshoblo, May, 1992.

Sosiashvili 2019: Sosiashvili G., From the History of the Zhurruli Family. in Eldar Mamistvalishvili – 80, 2019.
Sosiashvili 2020: Sosiashvili G., Who Was General Ilia Makarashvili. Historiani, No.1 (109), 2020.
Sosiashvili 2021a: Sosiashvili G., The Makarashvili Family and the Village of Arbo. Proceedings of Gori State University Faculty of Humanities, Center for History and Archaeology, Vol. 20. Gori State University Press, 2021.
Sosiashvili 2021b: Sosiashvili G., General Ilia Makarashvili and His Descendants in Peru and France, Proceedings of the Georgian National Academy of Sciences, History, Archaeology, Ethnology and Art History Series, 2021, No. 1.
Sosiashvili 2022a: Sosiashvili G., Arbo, Paris, Lima. Tbilisi, 2022.
Sosiashvili 2022b: Sosiashvili G., Letters and Memoirs of Mikheil Makarashvili. Kartuli Tskarotmtsodneoba, Vol. XXIV, Tbilisi, 2022.
Sosiashvili 2023: Sosiashvili G., Unknown Letters by Mariam Pritwitz to the Makarashvili Family. Kartuli Tskarotmtsodneoba, Vol. XXV, 2023.
Sosiashvili 2024: Sosiashvili G., The Zhurruli Family and the Bolshevik Regime, in In the Service of Historical Science: Otar Janelidze – 70. Tbilisi, 2024.
Tevdoradze 2010: Tevdoradze Z., Some Archival Materials on the Makarashvili–Zhurruli Family. Literature and Art, No.10, 2010.
Zhurruli 1935: Zhurruli V., Adjara and Batumi Regions (Pages from a Notebook). Independent Georgia, No. 144, Paris, 1935.

Online Resources

http://az-libr.ru/Persons/HEM/d0a58dcd/index.shtml
http://cadet.org.ua/uploads/Kj_4.pdf
http://ria1914.info/index.php?title=Makarashvili_Ilya_Sakvarelovich
http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00004697/
https://books.google.ge/books?id=4kD5AgAAQBAJ&pg=PA213
https://books.google.ge/books?id=kcv_AgAAQBAJ&pg=PA667
https://cyberleninka.ru/article/n/d-a-milyutin-uchyonyy-voenachalnik-voennyy-ministr-rossii
https://nlr.ru/res/refer/romanov/article.php?num=263
https://old.bigenc.ru/domestic_history/text/3825815
https://ria1914.info/index.php/Kakhanov_Semen_Vasilyevich
https://ria1914.info/index.php/Mikhaylovskoye_Artillery_School
https://www.geni.com/people/Leonid-Petrovich-Sofiano/6000000022184844274
ru.m.ruwiki.ru
https://order.mediashm.ru/?p=84